

შპს „ვაზი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	

1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	8
5. ამონაგები რეალიზაციიდან	8
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
8. მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება შემცირებული მოყვანის დანახარჯებით.....	10
9. კომერციული ხარჯები.....	10
10. ფინანსური ხარჯი.....	10
11. (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	10
12. ძირითადი საშუალებები	11
13. ბიოლოგიური აქტივები	12
14. მარაგები.....	13
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
16. გაცემული სესხი	13
17. გადასახადები	13
18. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	13
19. კაპიტალი.....	13
20. მიღებული სესხები	14
21. ფინანსური იჯარის ვალდებულება.....	14
22. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14

შპს “ვაზი+”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2023	2022
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	1,335,635	1,615,086
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(1,236,994)	(1,292,478)
საერთო მოგება		98,641	322,608
სხვა საოპერაციო შემოსავალი		21,494	98,537
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,585,760)	(1,284,276)
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება	8	(413,966)	(221,824)
შემცირებული მოყვანის დანახარჯებით			
კომერციული ხარჯები	9	(114,875)	(122,006)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(45,000)	(174,505)
საოპერაციო ზარალი		(2,039,466)	(1,381,466)
ფინანსური შემოსავალი		23,383	-
ფინანსური ხარჯი	10	(574,240)	(646,161)
(ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	11	(75,231)	578,193
ზარალი დაბეგვრამდე		(2,665,554)	(1,449,434)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(2,665,554)	(1,449,434)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 27 სექტემბერს:

გიორგი ქოიავა
დირექტორი

შპს "ვაზი+"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2023	2022
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	1,335,635	1,615,086
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(1,236,994)	(1,292,478)
საერთო მოგება		98,641	322,608
სხვა საოპერაციო შემოსავალი		21,494	98,537
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,585,760)	(1,284,276)
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება	8	(413,966)	(221,824)
შემცირებული მოყვანის დანახარჯებით			
კომერციული ხარჯები	9	(114,875)	(122,006)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(45,000)	(174,505)
საოპერაციო ზარალი		(2,039,466)	(1,381,466)
ფინანსური შემოსავალი		23,383	-
ფინანსური ხარჯი	10	(574,240)	(646,161)
(ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	11	(75,231)	578,193
ზარალი დაბეგვრამდე		(2,665,554)	(1,449,434)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(2,665,554)	(1,449,434)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 27 სექტემბერს:


გიორგი ქოიავა
დირექტორი



შპს “ვაზი+”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	11,795,657	10,747,070
არამატერიალური აქტივები		2,064	2,254
ბიოლოგიური აქტივები	13	3,270,613	3,330,185
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,068,334	14,079,509
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	3,282,982	3,262,500
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	5,374,899	5,035,658
გაცემული სესხი	16	573,383	-
საგადასახადო აქტივი	17	88,230	81,653
ფული და ფულის ექვივალენტები	18	1,640	3,123
სულ მიმდინარე აქტივები		9,321,134	8,382,934
სულ აქტივები		24,389,468	22,462,443
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	18,906,452	19,826,233
დაგროვილი ზარალი	19	(7,813,897)	(5,148,343)
სულ კაპიტალი		11,092,555	14,677,890
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	20	5,060,643	5,469,892
ფინანსური იჯარის ვალდებულება	21	522,265	1,011,622
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,582,908	6,481,514
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	20	368,073	217,520
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	22	6,877,946	583,219
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	21	467,986	502,300
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,714,005	1,303,039
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		24,389,468	22,462,443

შპს “ვაზი+”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2021	13,627,023	(3,698,909)	9,928,114
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(1,449,434)	(1,449,434)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	6,199,210	-	6,199,210
31 დეკემბერი 2022	19,826,233	(5,148,343)	14,677,890
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(2,665,554)	(2,665,554)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(919,781)	-	(919,781)
31 დეკემბერი 2023	18,906,452	(7,813,897)	11,092,555

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ვაზი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 1998 წლის 18 მარტს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 236047023.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინის წარმოება ყურძნისაგან და შემდგომი რეალიზაცია. 2023 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 40 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, წინამძღვრიშვილის ქ. (ზაჰესი) 4.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელი იყო:

გივი გიგინეიშვილი - 100%

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალეები. საეჭვო და უიმედო ვალეების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	12.5
სატრანსპორტო საშუალებები	5-12.5
სხვა ძირითადი საშუალებები	5-20

ბიოლოგიური აქტივები. გაშენებული/შეძენილი ვენახების აღრიცხვისთვის კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს,

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომელიც გაიწია ვენახის იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

ვაზის გაშენება წარმოადგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მნიშვნელოვანი მოსავლის მიღებამდე პერიოდში. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, წყდება ხარჯების კაპიტალიზირება და დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება ნაყოფის მომცემ ვენახებს და ერიცხება ცვეთა განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

კომპანია ბიოლოგიური აქტივების ცვეთის კალკულაციისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

კომპანია ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტს აფასებს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო სავარაუდო დანახარჯებით, ნაყოფის მიღების მომენტში.

ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი**სასარგებლო მომსახურების ვადა**

ნაყოფის მომცემი ვენახები

20 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიეკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები

რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2023	2022
ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია-ადგილობრივი	710,441	1,615,086
ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია-ექსპორტი	625,194	-
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	1,335,635	1,615,086

შპს “ვაზი+”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
გამოყენებული მარაგები	(772,228)	(810,290)
შრომის ანაზღაურება	(411,303)	(456,224)
ცვეთა და ამორტიზაცია	(52,634)	(25,964)
სხვა	(829)	-
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,236,994)	(1,292,478)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(634,247)	(358,387)
ცვეთა და ამორტიზაცია	(373,593)	(518,654)
სამეურნეო ხარჯი	(196,803)	(24,622)
კომუნალური ხარჯი	(85,923)	(80,925)
საწვავის ხარჯები	(35,035)	(45,069)
საპენსიოს ხარჯი	(28,969)	(27,353)
დაზღვევის ხარჯი	(16,385)	(10,920)
საკონსულტაციო ხარჯები	(13,435)	(24,083)
რემონტის ხარჯი	(7,980)	-
საგადასახადო ხარჯი	(6,404)	(53,718)
იჯარის ხარჯი	(81)	(9,311)
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის ამოტრიალება	-	67,811
სხვა	(186,905)	(199,045)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,585,760)	(1,284,276)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება შემცირებული მოყვანის დანახარჯებით

	2023	2022
მოსავლის მოყვანის დანახარჯები	(720,957)	(656,713)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში გადატანილი აღებული მოსავლის (ყურძნის) რეალური ღირებულება	306,991	434,889
სულ მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება შემცირებული მოყვანის დანახარჯებით	(413,966)	(221,824)

9. კომერციული ხარჯები

	2023	2022
მარკეტინგული ხარჯი	(83,492)	(72,742)
საშუამავლო მომსახურება	(17,963)	(5,619)
ტრანპორტირების და შენახვის ხარჯი	(13,420)	(43,645)
სულ კომერციული ხარჯები	(114,875)	(122,006)

10. ფინანსური ხარჯი

	2023	2022
სესხების საპროცენტო ხარჯი	(454,715)	(536,267)
ფინანსური იჯარის პროცენტის ხარჯები	(119,525)	(109,894)
სულ ფინანსური ხარჯი	(574,240)	(646,161)

11. (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან

	2023	2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	(114,728)	(44,976)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(26,877)	40,242
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	32,049	(251,752)
გრძელვადიანი სესხები	31,801	834,920
გადასახდელი პროცენტი	2,524	(241)
სულ (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(75,231)	578,193

შპს “გაზი+”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2021	1,244,155	2,825,317	1,522,151	1,319,786	702,666	1,841,773	9,455,848
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	2,273,524	3,998	34,942	-	746,745	3,059,209
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,244,155	5,098,841	1,526,149	1,354,728	702,666	2,588,518	12,515,057
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	994,589	-	302,745	-	70,122	1,367,456
გასვლა	-	-	-	(11,705)	(9,142)	(27,173)	(48,020)
31 დეკემბერი 2023	1,244,155	6,093,430	1,526,149	1,645,768	693,524	2,631,467	13,834,493
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი, 2021	-	-	(196,428)	(508,785)	(161,727)	(456,835)	(1,323,775)
წლის დარიცხული ცვეთა	-	-	(56,119)	(147,019)	(52,463)	(188,611)	(444,212)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	(252,547)	(655,804)	(214,190)	(645,446)	(1,767,987)
წლის დარიცხული ცვეთა	-	-	(37,409)	(96,812)	(34,874)	(145,953)	(315,048)
გასვლები	-	-	-	11,210	7,221	25,768	44,199
31 დეკემბერი 2023	-	-	(289,956)	(741,406)	(241,843)	(765,631)	(2,038,836)
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	1,244,155	5,098,841	1,273,602	698,924	488,476	1,943,072	10,747,070
31 დეკემბერი 2023	1,244,155	6,093,430	1,236,193	904,362	451,681	1,865,836	11,795,657

13. ბიოლოგიური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ნაყოფის მომცემი ვენახები	სულ ბიოლოგიური აქტივები
31 დეკემბერი 2021	3,126,363	3,126,363
შემოსვლა წლის განმავლობაში	411,256	411,256
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	3,537,619	3,537,619
შემოსვლა წლის განმავლობაში	51,417	51,417
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2023	3,589,036	3,589,036
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი, 2021	(44,705)	(44,705)
წლის დარიცხული ცვეთა	(162,729)	(162,729)
გასვლები	-	-
31 დეკემბერი 2022	(207,434)	(207,434)
წლის დარიცხული ცვეთა	(110,989)	(110,989)
გასვლები	-	-
31 დეკემბერი 2023	(318,423)	(318,423)
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2022	3,330,185	3,330,185
31 დეკემბერი 2023	3,270,613	3,270,613

შპს "ვაზი+"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნედლეული და მასალები	2,039,729	2,399,091
დაუმთავრებელი პროდუქცია	1,142,675	778,969
მზა პროდუქცია	95,312	84,440
სხვა მასალები	5,266	-
სულ მარაგები	3,282,982	3,262,500

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გაცემული ავანსები	2,981,341	2,645,810
სავაჭრო მოთხოვნები	2,422,351	2,436,376
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	96,921	79,186
	5,500,613	5,161,372
მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(125,714)	(125,714)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,374,899	5,035,658

16. გაცემული სესხი

გაცემულ სესხს წარმოადგენს შპს "ჰიდრო კონსტრაქშენ ჯორჯიაზე" გაცემული მოკლევადიანი სესხი 573,383 ლარის ოდენობით, სესხი გაცემულია 3 თვის ვადით, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9%-ს.

17. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო დაწესებულებებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულს.

19. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2023 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი შემცირდა 919,781 ათასი ლარით. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და განაწილების წესს.

2023 წლის განმავლობაში არ მომხდარა დივიდენდის გამოცხადება და გაცემა. (2022:0)

შპს “ვაზი+”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები უცხოურ ვალუტაში	დოლარი	8.50%	5,032,858	5,442,107
იურიდიული პირებისაგან მიღებული სესხები	ლარი	18.00%	27,785	27,785
სულ გრძელვადიანი სესხები			5,060,643	5,469,892

მოკლევადიანი სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები ეროვნულ ვალუტაში	დოლარი	8,5%	368,073	217,520
სულ მოკლევადიანი სესხები			368,073	217,520

21. ფინანსური იჯარის ვალდებულება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა:		
არა უგვიანეს ერთი წლისა	604,058	739,906
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	577,438	1,203,311
ხუთი წლის შემდეგ	-	-
სულ მინიმალური გადასახდელები	1,181,496	1,943,217
გამოკლებული: ფინანსური ხარჯები არა უგვიანეს ერთი წლისა	(136,072)	(237,606)
გამოკლებული: ფინანსური ხარჯები ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	(55,173)	(191,689)
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულებები	990,251	1,513,922
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	467,986	502,300
ფინანსური იჯარის ვალდებულება გრძელვადიანი	522,265	1,011,622

22. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიღებული ავანსები	4,799,686	101,092
სავაჭრო ვალდებულებები	1,908,221	377,385
გადასახდელი ხელფასები	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	170,039	104,742
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,877,946	583,219